



ინფორმაციული საზოგადოების თეორიები შესავალი (ფრენკ უებსტერი)

1. შესავალი ინფორმაციული საზოგადოების თეორიებში
2. ინფორმაციული საზოგადოების იდეა
3. ინფორმაციული საზოგადოების განსაზღვრების კრიტერიუმები
4. ინფორმაციული საზოგადოების რაოდენობრივი და თვისებრივი განზომილება
5. რა არის ინფორმაცია?
6. თეორიული ცოდნა

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები: ინფორმაცია, თეორიული ცოდნა, ეკონომიკური, სივრცითი, დასაქმებასთან დაკავშირებული, კულტურული, რაოდენობრივი კრიტერიუმები, ინფორმაციის კულტი, ინფორმაციული შრომა,



ადამიანთა უმრავლესობას ადრე თუ გვიან უჩნდება კითხვები: რას წარმოადგენს ის საზოგადოება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ? როგორ გავიაზროთ ის, რაც მსოფლიოში ხდება? საით მივდივართ? ამ კითხვებზე პასუხების მოძიება გრანდიოზული ამოცანაა, რადგან იგი ძალიან რთული და მუდმივად ცვალებადი პირობების ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრების აუცილებლობას გულისხმობს. სხვადასხვა საზოგადოების და ხდომილებების ძირითადი ნიშნების გააზრების მისწრაფება განმაზოგადებელი ცნებების მიღებას გვაიძულებს. ანალიტიკოსები სულ უფრო მეტად და მეტად ლაპარაკობენ ინფორმაციის როგორც თანამედროვე სამყაროს (მსოფლიოს) მთავარი განმასახვავებელი (სპეციფიკური) ნიშნის შესახებ.

გვეუბნებიან, რომ შევდივართ ინფორმაციულ ერაში, რომ „ინფორმაციის ახალი წესები“ იწყებენ პრევალირებას, რომ ვცხოვრობთ „ელექტრონულ საზოგადოებაში“, და ვუახლოვდებით „ვირტუალურ ეკონომიკას“, რომლის მამოძრავებელი ძალა ინფორმაცია გახდა, რომ უკვე ვცხოვრობთ „გლობალური ინფორმაციული ეკონომიკის“ პირობებში. ძალიან ბევრი ექსპერტი კიდევ უფრო შორს მიდის და მსოფლიოს ისეთ ისეთ დაწინაურებულ ქვეყნებს, როგორებიცაა: აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და ცხოვრების წესით მსგავს სხვა ქვეყნებს ინფორმაციულ საზოგადოებას უწოდებენ. ინფორმაციული საზოგადოების იდეა მოსწონთ პოლიტიკოსებს და იმათ, ვინც პოლიტიკას განსაზღვრავს, ასევე წამყვან ბიზნესმენებს, მით უფრო, რომ ევროკავშირი ჩქარობს იაპონიის



მსგავსად შევიდეს „გლობალურ ინფორმაციულ საზოგადოებაში“, რომელმაც ეს კონცეფცია ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში მიიღო.

კამათს მხოლოდ ის იწვევს, თუ რა მოაქვს ამ ცვლილებებს: ერთნი თვლიან, რომ ყალიბდება ნამდვილად პროფესიონალური, თავის წევრებზე მზრუნველი საზოგადოება; მეორენი კი მიიჩნევენ, რომ ძლიერდება კონტროლი მოქალაქეებზე; მესამენი კი თვლიან, რომ ეს ცვლილებები მოასწავებს მაღალი განათლების მქონე ფენის წარმოშობას, და ა.შ. პოლიტიკური ეკონომისტები ბჭობენ იმის შესახებ, რომ ახალ „ელექტრონულ ეკონომიკაში“ უპირატესობას მოიპოვებს მეწარმე, რომელიც ცოდნას ფლობს, რაც მას „სწრაფი მოაზრებისა და გადაწყვეტილების მიღების“ შესაძლებლობას მისცემს. მათთვის კი, ვისაც აღელვებს კულტურა, კიბერ სივრცე და ვირტუალური რეალობა წარმოსახვისა და გამომგონებლური საქმიანობისათვის შეუფერებელი და არამყუდრო ადგილია.

გასაოცარია ის, რომ ამ თვალსაზრისების დაპირისპირებულობის მიუხედავად, ყველა მეცნიერი ერთ რამეში ეთანხმება ერთმანეთს: ინფორმაცია ესაა რაღაც განსაკუთრებული. ავტორთა უმრავლესობა, რომლებიც ინფორმაციული საზოგადოების პრობლემებზე წერენ, იშვიათად ეთანხმებიან ერთმანეთს მისი ძირითადი მახასიათებლებისა თუ საზრისის შესახებ, მაგრამ ერთ რამეში ყველა ერთმანეთს ეთანხმება: ინფორმაცია განსაკუთრებულ როლს ასრულებს თანამედროვე სამყაროში. რაც არ უნდა დაპირისპირებული იყოს მათი შეხედულებები ერთმანეთს, ისინი ერთ რამეში ეთანხმებიან: ინფორმაციას განსაკუთრებული როლი აქვს.

ინფორმაციის საზოგადოებაზე ზემოქმედება მრავალი ავტორის კვლევის საგანია. მაგრამ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როდესაც ანალიზებენ იმას, თუ როგორი ფორმები შეუძლია მიიღოს ინფორმაციამ, რატომ იკავებს ინფორმაცია ცენტრალურ ადგილს თანამედროვე სისტემებში, როგორ ზემოქმედებას ახდენს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე. ამ პრობლემებზე დისკუსია მთელი ძლით გაიშალა 1991 წელს, ძირითადად ტექნოლოგიური ცვლილებებისა და სიახლეების გამო. მეოცე საუკუნის 80-იან წლებში გამოცხადებულმა „მიკროელექტრონულმა რევოლუციამ“ დღის წესრიგში დააყენა მთელი რიგი მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს ყველა ჩვენთაგანისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიები (იტ): შრომის დასასრულს, უსაქმურობის ერის დადგომას, სრულად ავტომატიზირებულ წარმოებას. ტექნოლოგიებით გამოწვეული ცვლილების აღტაცება არ ნელდება. ახლა დღის წესრიგშია - ინტერნეტი, ინფორმაციული „სუპერმაგისტრალები“ და კიბერსივრცე, ანუ ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების (იკტ) იმერ წარმოქმნილი საკითხები. ბჭობა - განხილვის პირველხარისხოვან თემებად იქცევა: ელექტრონული დემოკრატია, კიბორგი და ონლაინური გაერთიანებები (თანასაზოგადოებები). მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სფეროში ძალიან საინტერესო მოზრუნება მოხდა ტექნოლოგიებიდან სხვა ინფორმაციის შინაარსობრივი შემადგენლობისაკენ. წამყვან პოლიტიკოსთა და ინტელექტუალთა გარემოში იზრდება ინტერესი ინფორმაციული შრომისადმი, სიმბოლური ანალიტიკოსებისადმი, რომლებიც




ყველაზე მეტად მომზადებულნი არიან იმისათვის, რომ თან ატარონ და წინ წასწიონ ის მომავალი, სადაც ადაპტაციურობა და მუდმივი გადამზადება (ახალი ცოდნის დაუფლება) ნორმაა. ეს ადამიანები მთავარი მოთამაშენია ინფორმაციულ საზოგადოებაში, მათ ბედად ერგოთ პირველხარისხოვანი განათლების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს მათ ინფორმაციული შესაძლებლობებით, რაც თავის მხრივ საშუალებას აძლევს მათ კარგად მოერგონ ახალ გლობალიზირებულ ეკონომიკას. დღეს, შუამავლები, მენეჯერები, პროგრამისტები, მასმედიის კრეატიული მუშაკები და ყველა ის, ვინც კრეატიულ სფეროებში მუშაობენ, განიხილებიან როგორც ინფორმაციული საზოგადოების მეგზურნი. ტექნოლოგიებიდან ადამიანისაკენ მიმართულების შეცვლამ ასევე ინფორმაციისადმი დაუოკებელმა ინტერესმა ამ წიგნის ავტორს გადააწყვეტინა „ინფორმაციული საზოგადოების“ მეორე გამოცემის მომზადება.

მიზნად ისახავს რა ინფორმაციული საზოგადოების სხვადასხვა სახეებისა და ფორმების კვლევას, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვარკვიოთ ინტერესების გადაკვეთის სფერო, მიუხედავად ამისა, რაც უფრო ვუახლოვდებით ამ სფეროს, სადაც თითქოს შეხედულებათა ერთიანობა არსებობს, მით უფრო ნაკლებ ვხედავთ თანხმობას განსამარტავი საგნის შესახებ.

ისახავს რა ამ მიზანს, ავტორი ცდილობს ააგოს ეს წიგნი ისე რომ მასში მოექცეს ყველა ის თეორია, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის რაობის გაგებაში. ამ მიზეზის გამო ინფორმაციის დეფინიციის შემდეგ (თავი მეორე) ყოველ მომდევნო თავში განიხილება ცალკეული თეორიები და მისი ყველაზე გამოჩენილი მომხრეები, აგრეთვე ნაცადია მისი დადებითი (ძლიერი) და სუსტი მხარეების შეფასება.

თანდათანობით წინ წაწევისას, თქვენ გაეცნობით **დენიელ ბელის** (თავი მესამე) პოსტინდუსტრიული საზოგადოების კონცეფციას, გავეცნობით დისკუსიას იმის თაობაზე ხდება თუ არა გადასვლა ფორდისტული საზოგადოებიდან პოსტფორდისტულ საზოგადოებაზე, რომლის წარმატების საფუძველს ინფორმაციის მართვა წარმოადგენს (თავი მეოთხე) მანუელ კასტელსის გავლენის მქონე თეორიას ინფორმაციონალურ კაპიტალიზმზე ქსელურ საზოგადოებაში. (თავი მეხუთე). ასევე გავეცნობით ჰერბერტ შილერის შეხედულებებს ინფორმაციის და მისი მანიპულირების




მოთხოვნილებების შესახებ განვითარებულ კაპიტალიზმში (თავი მეექვსე).



გავეცნობით **იურგენ ჰაბერმასის** არგუმენტებს, რომელიც თვლის, რომ საჯარო სფერო და მასთან ერთად ინფორმაციის ჭეშმარიტება დაცემის გზაზეა (თავი მეშვიდე), ენტონი გიდენსის განაზრებებს „რეფლექსური მოდერნიზაციის“ შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ინფორმაციის როლს, რომლის მოპოვებაც დაკვირვებისა და კონტროლის მიზნით ხდება (თავი მერვე) და აზრებს პოსტმოდერნიზმის,



აგრეთვე **ჟან ბოდრიარის** და ზიგმუნტ ბაუმანის პოსტმოდერნიზმის ეპოქას, მეცნიერთა შეხედულებებს, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას თანამედროვე სამყაროში ნიშნების აფეთქებას უთმობენ.



უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეცნიერნი ისეთი დისციპლინების გადაკვეთაზე მუშაობენ, როგორებიცაა: სოციოლოგია, ფილოსოფია, ეკონომიკა და გეოგრაფია და სოციალურ მეცნიერებებში არსებული თანამედროვე დისკუსიების ცენტრში იმყოფება. აქ არაფერია გასაოცარი, სოციალური მოაზროვნეები იმიტომაც არსებობენ, რათა ეცადონ გაიგონ და ახსნან მსოფლიო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ,

ხოლო ამ სამყაროს მნიშვნელოვანი ნიშანია ცვლილებები ინფორმაციის სფეროში. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ვინმე ცდილობდეს მსოფლიოს სურათის აღწერას ისე, რომ არ შეეხოს ცვლილებების უზარმაზარ სფეროს, რომელიც ეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ინფორმაციის გავრცელებას, კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს, დასაქმების ახალ ფორმებს და საგანმანათლებლო სისტემებსაც კი.

ჩემთვის ცნობილია, რომ მოხდა რადიკალური, თვით რევოლუციური გარღვევა ინფორმაციის სფეროში, ჩვენ ბუნებრივია, გვსურს ვიცოდეთ, როგორ ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებთან მიგვიყვანს ასეთი განვითარება. ამაზე პასუხები შეიძლება პოპულარული ბროშურებიდანაც მივიღოთ. თუ გვინდა კვალიფიციური პასუხი გავცეთ ინფორმაციული საზოგადოების შესახებ დასმულ კითხვებს, მაშინ უნდა მივმართოთ გამოჩენილ, ძლიერ სოციალურ თეორეტიკოსებს. ძალიან ბევრმა „პრაქტიკოსმა“, რომლებიც შთაგონებულნი არიან ინფორმაციულ ტექნოლოგიური რევოლუციით, აღტაცებულნი არიან ინტერნეტით, ცხოვრება რომ არ წარმოუდგენიათ ელექტრონული ფოსტის გარეშე, მიწიერ რეალობაზე ამალეებულ ვირტუალურ რეალობაში მცხოვრებლებმა, გადაწყვიტეს, რომ ძალუძთ სწრაფად გააცნობიერონ ის სოციალური და ეკონომიკური შედეგები, რომლებიც აუცილებლად მოყვება ამ რევოლუციას: შრომა ტრანსფორმირდება, განათლების სფეროში მოხდება გადატრიალება, კორპორაციული სტრუქტურები ხელახლა დაიბადებიან, დემოკრატია გადაფასდება - და ყველაფერი ეს ინფორმაციული რევოლუციის შედეგად. ჩვენ თავიდან უნდა ავიცილოთ ამ რთული პრობლემის ზედაპირული განხილვა. ასეთ რამეს ადგილი აქვს ისეთ იაფფასიან წიგნებში, როგორებიცაა: „მიკრო, აბადამაცადე“, „საზოგადოება, (სადენებით მოცული) გახლართული სადენებში“, „ციფრებად ქცეული ცხოვრება“ და „რა იქნება შემდეგ?“ ასეთივე შემთხვევებს აქვს ადგილი საუნივერსიტეტო კურსებში თემებზე „კომპიუტერული რევოლუციის სოციალური ეფექტები“, ასევე პოლიტიკური და საქმიანი წრეების უამრავ გამოსვლებში, და უთვალავ ჟურნალისტურ მასალებში, რომლებსაც მხოლოდ საგანგაშო განწყობილების გამოწვევა ძალუძს.

ავტორთა უმრავლესობის არგუმენტები ინფორმაციის როლის შესახებ საზოგადოების წყობის შეცვლაში, შეიძლება ორ ჯგუფად დავალაგოთ:



1. რაოდენობრივი ცვლილებები ინფორმაციის სფეროში იწვევს სოციალური წყობის თვისებრივად ახალი ტიპის - ინფორმაციული საზოგადოების წარმოქმნას. მსჯელობის ლოგიკა მარტივია: ჩვენ დროში ძალიან ბევრი ინფორმაცია იწარმოება, მაშასადამე საზოგადოება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ინფორმაციულია.

2. ასევე არსებობს კიდევ ერთი დეფინიცია, რომელიც კარდინალურად განსხვავდება პირველისაგან; იგი იმისაგან კი არ ამოდის, რომ ჩვენს ეპოქაში დიდძალი ინფორმაცია იწარმოება და მიმოქცევაშია, არამედ იმისაგან, რომ ინფორმაციის არა

რაოდენობამ, არამედ ინფორმაციის ხასიათმა შეცვალა ჩვენი ცხოვრების წესი. ამ განსაზღვრებაში იგულისხმება, რომ დღეს ჩვენი ქმედებების საფუძველში ძევს თეორიული ცოდნა (ინფორმაცია); დ. ბელის აზრით „კარდინალური სიახლე დღეს - ესაა თეორიული ცოდნის კოდიფიკაცია და მისი საკვანძო ძირითადი როლი ნოვაციებში, როგორც ახალი ცოდნის მოპოვება ქმნადობის, ისე საქონლისა და მომსახურების სფეროში” ანუ სიახლეების წყარო ხდება მეცნიერული კვლევები და განვითარების ანალიზი.

თემა II. ინფორმაციული საზოგადოების იდეა.

მეცნიერები, რომლებიც ინფორმაციული საზოგადოების განსაზღვრებას ცდილობენ ყოველთვის წერენ საინფორმაციო საზოგადოების გამორჩეულობაზე, განსაკუთრებულობაზე, თუმცა მათი ოპერაციული კრიტერიუმები გაურკვეველი რჩება. ცდილობენ რა გააცნობიერონ ცვლილებათა მნიშვნელობა ინფორმაციაში, ისინი ცდილობენ განსაზღვრონ ეს ცვლილებები ეკონომიკური წარმოების განსხვავებული ფორმების ტერმინებში, სოციალური ზემოქმედების ახალ ფორმებში, წარმოების ინოვაციურ პროცესებში და ა.შ. თუმცა მათ ვერ ძალუძთ დაადგინონ როგორ დაიკავა დღეს ინფორმაციამ ცენტრალური ადგილი საზოგადოებაში ისე რომ იგი იქცა ახალი ტიპის საზოგადოებას ჩამოყალიბების ფაქტორად. მაინც რა არის ინფორმაცია? რატომ თვლის მეცნიერთა ნაწილი რომ ინფორმაცია წარმოადგენს ჩვენი დროის მთავარ პრობლემას.

ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ინფორმაციული საზოგადოების ხუთი განსაზღვრება.

ტექნოლოგიური

ეკონომიური

დასაქმების სფეროსთან დაკავშირებული

სივრცული

კულტურული

თუმცა ამ დეფინიციის საფუძველს წარმოადგენს მტკიცება იმის შესახებ, რომ რაოდენობრივმა ცვლილებებმა ინფორმაციულ სფეროში მოგვიყვანა თვისებრივად ახალი ტიპის სოციალური მოწყობის აღმოცენებასთან - ინფორმაციულ საზოგადოებასთან.



ბევრგან თეორეტიკოსები გამოდიან მსგავსი მსჯელობებიდან: ჩვენს დროში ინფორმაცია გახდა მეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ არის ინფორმაციული. როგორც შემდეგ ვნახავთ, ასეთი მსჯელობა ex post factum გამოიწვევს სერიოზულ სირთულეებს.

არსებობს კიდევ ერთი განსაზღვრება ინფორმაციული საზოგადოებისა, რომელიც რადიკალურად განსხვავებულია აქამდე არსებული განსაზღვრებებისაგან. იგი ამოდის არა იმ მტკიცებიდან რომ ჩვენს დროს ინფორმაციამ იმატა, გაიზარდა (ეს ისედაც ნათელია), არამედ იმისგან რომ ამ ინფორმაციის ხასიათმა ჩვენი ცხოვრების სტილი შეცვალა. ეს დეფინიცია გვთავაზობს იმას, რომ დღეს ჩვენივე ქვეყნის საფუძველში დევს თეორიული ცოდნა (ინფორმაცია). ამ განსაზღვრებას, რომელიც ერთადერთია და რომელიც არსებითად ოპერირებს ინფორმაციის ხარისხზე და არა რაოდენობრივ მაჩვენებელზე, არ ჰყავს ბევრი მხარდამჭერი, თუმცა შეიძლება სწორედ ეს იყოს ერთადერთი დამაჯერებელი არგუმენტი, იმისათვის რათა გამოყენებულ იქნას ახალი იარაღი. განვიხილოთ თითოეული განსაზღვრება რიგის მიხედვით.

ტექნოლოგიური კრიტერიუმი

ტექნოლოგიური კონცეფციის ცენტრში დევს მრავალი ტექნოლოგიური ინოვაცია, რომელიც 1970-იანი წლების შემდეგ გაჩნდა. ახალი ტექნოლოგიები – ახალი დროის დადგომის ერთ - ერთი გამორჩეული ნიშანია და მათ მიიჩნევენ ინფორმაციული საზოგადოების დაბადების ნიშნადაც. იგი გულისხმობს კაბელურ და სატელიტურ ტელევიზიას, კომპიუტერულ ქსელს, პერსონალურ კომპიუტერებს, ახალ საოფისე ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით ონლაინ ინფორმაციულ მომსახურებას, ტექსტურ რედაქტორებს და ასევე კომპაქტ დისკის კითხვით მეხსიერებას. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ტექნოლოგიური განვითარების, ინოვაციის ასეთმა ნაკადმა უნდა მიგვიყვანოს სოციალურ ცვლილებებთან, მისი ზემოქმედება საზოგადოებაზე ძალიან მნიშვნელოვანია. 1970 - იანი წლის ბოლოსა და 1980 -იანი წლის დასაწყისში ბევრი მეცნიერი განსაკუთრებულ ინტერესსა და ენთუზიაზმს იჩენდა „ყოვლისშემძლე მიკროს“ მიმართ, რომელიც მზად იყო ჩვენი ცხოვრების წესის რევოლუციური შეცვლისთვის. მისით განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყო გამოჩენილი ფუტუროლოგი ელვინ ტოფლერი. თავისი აზრი მან გამოხატა მეტად დასამახსოვრებელ მეტაფორაში: სამყარო მუდმივად განიცდის ფორმირებას ტექნოლოგიური განვითარების, ინოვაციის სამი ტალღის მეშვეობით, რომელთა შეჩერებაც, როგორც დიდი მოქცევისა შეუძლებელია. პირველი იყო – სასოფლო სამეურნეო რევოლუცია, მეორე – სამრეწველო რევოლუცია, ახლა დგება მესამე ტალღის დრო – ინფორმაციული რევოლუცია, რომელიც მოასწავებს ცხოვრების ახალ წესს (რაც ტოფლერის მტკიცებით მართლაც შესანიშნავი იქნება იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენ თავს შევიმაგრებთ ამ ტალღის წვერზე).



მოგვიანებით ფუტურისტული ენთუზიაზმი გამყარებული იყო კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაძლებლობით, ტელეკომუნიკაციის ტრანსფორმირებაზე, ნამდვილად გააერთიანოს ორი ტექნოლოგია. ამჟამად ციფრული კომუნიკაციური ტექნოლოგიის გავრცელება (ელექტრო ფოსტა, მონაცემებისა და ტექსტის გადაცემა, ინფორმაციის გაცვლა ონლაინ რეჟიმში და ა.შ.) იწვევს მსჯელობას ახალი საზოგადოების დადგომის შესახებ. ინტერნეტი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა რეალურ დროში გამოიყენო ეკონომიკური წარმატებისთვის, ხელი შეუწყო სწავლებას და დემოკრატიული პროცესებს – ამან გამოიწვია განსაკუთრებით ბევრი კომენტარი. მუდმივი რუბრიკები, მედიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გვაცნობებენ „ინფორმაციული სუპერმაგისტრალების” შესახებ, რომელთა ნაკადთა მოძრაობაში ხალხმა ჯერ უნდა ისწავლოს თავის შეკავება. გამოჩნდნენ უდავო ავტორიტეტები, რომლებიც აცხადებენ, რომ „პროგრესი ტელეკომუნიკაციებში სამყაროში ახალ წესრიგს წარმოშობს და ვინც ამ მაგისტრალებს გვერდს აუვლის, სრულ კრახს განიცდის”.

უფრო ფხიზლად რომ განვსაჯოთ, საერთაშორისო და სახელმწიფოს შიგნით გლობალური ინფორმაციის გაცვლის გავრცელება ბანკებს, კორპორაციებს, ხელისუფლებას და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შიგნით და ასევე მათ შორის მიუთითებს ტენდენციაზე, რომელსაც ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურის დადგომამდე მივყავართ, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივ კომპიუტერულ კომუნიკაციას ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას, სადაც შესაბამისი აღჭურვილობა არსებობს.

მეცნიერ-ანალიტიკოსების უმრავლესობა ფუტუროლოგებისა და პოლიტიკური მოღვაწეების ამ პათოსურ სტილს არ უერთდებიან, თუმცა მათი მოსაზრებები ასეთი მიდგომის საფუძვლის განსაზღვრაში ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, იაპონიაში 1960 - იანი წლებიდან უკვე ცდილობდნენ გაეზომათ ინფორმაციული საზოგადოების ზრდა. იაპონიის ტელეკომუნიკაციისა და კავშირგაბმულობის სამინისტრომ 1975 წლიდან დაიწყო კვლევა, რათა თვალყური ედევნებინა ცვლილებებისთვის სატელეფონო საუბრების და ინფორმაციის გადამცემი საშუალებების (ანუ ტელეკომუნიკაციური საშუალებების გავრცელება) რაოდენობაზე. ბრიტანეთში საკმაოდ პრესტიჟულმა სამეცნიერო სკოლამ ნეოშუმპეტერიანული მიდგომა აირჩია. შუმპეტერის მოსაზრებით დიდი ტექნოლოგიური მიღწევები ბადებენ „შემოქმედებით ნგრევას [ქაოსს]”. მეცნიერების აზრით, ინფორმაცია და კომუნიკაციური ტექნოლოგიები ახალი ეპოქის დადგომას ნიშნავს, რომელიც ადრეულ ეტაპზე შექმნის გარკვეულ დისკომფორტს, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება ეკონომიკურად მომგებიანი. ეს ახალი „ტექნოეკონომიკური პარადიგმა” წარმოადგენს „ინფორმაციულ საუკუნეს”, რომლის ცნობიერება და აზროვნება 21-ე საუკუნის დასაწყისს ემთხვევა.

მართლაც რატომ არ შეიძლება დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები არიან მოწმენი ახალი საზოგადოების აღმოცენებისა. ჯონ ნესბიტი ასე წერდა: „კომპიუტერული ტექნოლოგიები ინფორმაციული



საუკუნისთვის იქცა იმად, რაც თავის დროზე მექანიზაცია იყო სამრეწველო რევოლუციისათვის”.

შეიძლება დაისვას კითხვა ტექნოლოგიების კუთხითაც. რამდენი ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგია არის ამჟამად ამ საზოგადოებაში და მოგვცემს თუ არა ეს იმის გარკვევის საშუალებას, თუ რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ საზოგადოებას ვუწოდოთ ინფორმაციული. რამდენი ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიაა საჭირო იმისათვის, რომ გვქონდეს უფლება საზოგადოებას ინფორმაციულის კვალიფიცირება მივანიჭოთ? ვცდილობთ რა აღმოვაჩინოთ გონიერების მარცვალი, მაშინვე ვხვდებით, რომ ავტორთა და შემოქმედთა უმრავლესობას, რომლებიც ტექნოლოგიებზე მიგვითითებენ არ შეუძლიათ მოგვცენ რეალური მონაცემები, რომელთა შემოწმებაც მოხდებოდა.

გაზომვა და მასთან დაკავშირებული სირთულე – ტექნოლოგიურ სკალაზე იმ წერტილის განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც საზოგადოება შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციულად – წარმოადგენს ცენტრალურ პრობლემას ინფორმაციული საზოგადოების განსაზღვრების ნებისმიერ ფორმულირებაში. თუმცა ფუტუროლოგები ამას არ ითვალისწინებენ, ითქვამს რომ გაჩნდნენ ახალი ტექნოლოგიები და ყოველგვარი ეჭვების გარეშე იქმნება მოსაზრება, რომ თავად ეს ფაქტი ნიშნავს ინფორმაციული საზოგადოების გაჩენას. ამ საკითხს გვერდს უვლიან ასევე ის მეცნიერები, რომლებიც ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს მიიჩნევენ ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების ნიშნად. ისინი კმაყოფილდებიან ტექნოლოგიური სიახლეების ზოგადი აღწერით და რატომღაც ფიქრობენ რომ ეს საკმარისი იქნება ახალი ტიპის საზოგადოების აღწერისათვის.

ხშირად ჩნდება სხვა პრეტენზიები, უთანხმოება ტექნოლოგიური კრიტერიუმის განსაზღვრებასთან მიმართებაში. კრიტიკოსები არ ეთანხმებიან მათ ვინც ამტკიცებს რომ თითქოს ყოველ ისტორიულ ეპოქაში ჯერ იქმნება გარკვეული ტექნოლოგიები და მხოლოდ შემდეგ ახდენენ ისინი ზეგავლენას საზოგადოებაზე, აიძულებს ხალხს ახალ პირობებთან შეგუებას. მსგავსი ტიპის მტკიცებაში ტექნოლოგიას განსაკუთრებული, პრივილეგირებული ადგილი უჭირავს და იგი განსაზღვრავს მთელ სოციალურ სამყაროს: ორთქლის საუკუნე, მანქანის (ავტომობილის) საუკუნე, ატომური საუკუნე. მთავარი უთანხმოება მდგომარეობს არა იმაში, რომ ტექნოლოგია აქ განიხილება როგორც სოციალური დინამიკის მთავარი მამოძრავებელი. ეს ასეცაა, თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანია ის რომ ამას მივყავართ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური განზომილებათა ტექნოლოგიური ინოვაციებისაგან გამოყოფისაკენ.

აქედან გამომდინარეობს პირველხარისხოვანი მდგომარეობა ტექნოლოგიისა, რომელიც წარმოგვიდგება თვითსაკმარისად, თუმცა კი გავლენას ახდენს სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტზე.



ნათელია რომ ტექნოლოგიები არ არის გამოყოფილი სოციალური სფეროსაგან. პირიქით, ისინი სოციალური სფეროს მთავარ ნაწილს წარმოადგენენ. მაგალითად, გადაწყვეტილება მიღებული ამა თუ იმ გამოკვლევასა და მეცნიერულ ნაშრომზე, გამოხატავს სოციალურ პრიორიტეტს და ამ შეფასებითი მსჯელობის საფუძველზე ვითარდება ესა თუ ის ტექნოლოგია (მეოცე საუკუნის განმავლობაში სამხედრო, საბრძოლო პროექტები გაცილებით მეტად ფინანსდებოდა ვიდრე სამედიცინო. ამის ფონზე გასაკვირიც არ არის რომ წარმატებები შეიარაღებაში ფარავდა სხვა სფეროებს). მკვლევარებმა აჩვენეს თუ რამდენად ასახავს ტექნოლოგიები სოციუმის ღირებულებებს. მანქანების წარმოება, რომელიც ასახავს კერძო მესაკუთრეთა ღირებულებებს, ოჯახის სავარაუდო ზომა (როგორც წესი 2 უფროსი და 2 ბავშვი), ეკოლოგიასთან დამოკიდებულება, სტატუსური სიმბოლოები („პორშე“, „მკოდა“) და ინდივიდუალური ტრანსპორტისათვის უპირატესობის მინიჭება საზოგადოებრივთან შედარებით. იგივე შეიძლება ითქვას სამშენებლო ინდუსტრიაზე, სახლი წარმოადგენს არა მარტო საცხოვრებელ ადგილს - იგი ასახავს მფლობელის ცხოვრების სტილს, მის მოსაზრებებს, დამოკიდებულებებს. თუ ყველაფერ ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ როგორ შეიძლება არასოციალური ფენომენი (ტექნოლოგია) საზოგადოების განმსაზღვრელ ფაქტორად ჩავთვალოთ? ასეთი რამ ძალზე ტრივიალურია (შეიძლება ნებისმიერი ფაქტორი შევარჩიოთ და მისი დახმარებით აღვწეროთ საზოგადოება: ჟანგბადის საზოგადოება, წყლის საზოგადოება, კარტოფილის საზოგადოება) და თანაც არასწორი (სინამდვილეში ტექნოლოგია საზოგადოების ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს) და ამიტომ ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიების განსაკუთრებული, მთავარი როლის მტკიცება სოციალურ ცვლილებებში ფრიად საეჭვოა.

ეკონომიკური კრიტერიუმი

ეს მიდგომა ვარაუდობს ინფორმაციული საქმიანობის ეკონომიკური ღირებულების ზრდის ტენდენციას. თუ ადამიანს შეუძლია ივარაუდოს ინფორმაციული ბიზნესის როლის გაზრდა მთლიან ეროვნულ პროდუქტში, ის შესაძლოა სავსებით ლოგიკურად მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ეკონომიკა გახდა ინფორმაციული. თუ ეკონომიკურ სფეროში ინფორმაციული აქტივობა აღემატება წარმოებას სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, მაშინ შესაძლოა ვისაუბროთ ინფორმაციულ საზოგადოებაზე.

მეცნიერმა პრინსტონის უნივერსიტეტიდან ფრიცემ მახლუპმა ინფორმაციულს მიაკუთვნა ისეთი დარგედი, როგორცაა განათლება, სამართალი, საგამომცემლო საქმე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. იგი ასევე ცდილობდა დაედგინა მათი ეკონომიკური ღირებულება. ამ პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მარკ პორატმა. მან შემოიტანა განსხვავება ეკონომიკის პირველად და მეორად სექტორებს შორის. პირველადი სექტორი ექვემდებარება ზუსტ ეკონომიკურ შეფასებას, რადგანაც გააჩნია განსაზღვრული საბაზრო ღირებულება. მეორე სექტორში ამის



გაკეთება რთულია, თუმცა იგი წარმოადგენს უფრო არსებითს მთელი თანამედროვე ეკონომიკისათვის, რადგან მოიცავს ინფორმაციულ საქმიანობას, საქმიანობას კომპანიასა და სახელმწიფო დაწესებულებებში (მაგალითად პერსონალთა განყოფილებები კომპანიებში ან კვლევითი განყოფილებები ბიზნესის განვითარების კუთხით). ამგვარად, გამოყოფა რა ორი ინფორმაციული სექტორი, პორატმა შემდეგ ისინი გააერთიანა და მისგან გამოაცალკევა არაინფორმაციული ეკონომიკური ელემენტები, რის შემდეგაც ანალიზებს ნაციონალურ ეკონომიკურ სტატისტიკას და ასკვნის, რომ ამერიკის ეკონომიკა დაფუძნებულია ინფორმაციაზე. შესაბამისად ამერიკა წარმოადგენს ინფორმაციულ საზოგადოებას, სადაც მთავარ ადგილს იკავებს ინფორმაციული პროდუქციისა და ინფორმაციული მომსახურების წარმოება, ასევე საზოგადო და კერძო (მეორადი საინფორმაციო სექტორი) საქმის წარმოება.

ინფორმაციის ეკონომიკური მნიშვნელობის რაოდენობრივი ანალიზი კარგი არგუმენტია, თუმცა ამ მიდგომასაც ჰყავს მოწინააღმდეგეები. მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სტატისტიკური ცხრილების უკან, რომლებიც მტკიცებულებების ობიექტურობას მოწმობენ, ჩანს ფარული სუბიექტური ინტერპრეტაციები და შეფასებითი მიდგომა, თუ როგორ უნდა წამოაყენო კატეგორიები და რა ჩართო ზუსტად ინფორმაციულ სექტორში და რა გამორიცხო. მახლუპი და პორატი ქმნიან ინფორმაციული სექტორის კატეგორიებს რომლებიც აზვიადებენ მის ეკონომიკურ ღირებულებას. ამიტომ გვაქვს მიზეზი შევისწავლოთ ამ შეფასებების სიზუსტე, სანდოობა.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ რეკლამისა და ტელევიზიის მნიშვნელობის ზრდა ეკონომიკაში მიუთითებს ინფორმაციულ საზოგადოებაზე, თუმცა მაშინ შეუძლებელი ხდება თვისობრივი განსხვავების წონის დადგენა ინფორმაციულ საზოგადოებაში. ეკონომისტების აზრით ჩვენ ვკარგავთ შესაძლებლობას გავიგოთ ინფორმაციული სექტორის ზომა, რომლის გაზომვაც ნამდვილად შეიძლება. მახლუპი და პორატი მიზნად არ ისახავდნენ ინფორმაციული საზოგადოების რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლების დიფერენცირებას, თუმცა „სან“-ის მრავალმილიონიანი ტირაჟი არ შეიძლება შევადაროთ 400ათასი ტირაჟის მქონე „ფაინენშელ თაიმსს“. აქედან შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, სადაც ინფორმაციულ საქმიანობას გააჩნია საკმაოდ დიდი წონა მთლიან ნაციონალურ პროდუქტში, თუმცა ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თვალთახედვით სერიოზულ როლს არ თამაშობს. ერი, სანახაობის პასიურ მომხმარებელი, რომელიც მხოლოდ დისნეის სტილის ნახატებსა ოცნებობს?

დასაქმების სფეროსთან დაკავშირებული კრიტერიუმი

ეს მიდგომა სხვებთან შედარებით ძალიან მოსწონთ სოციოლოგებს. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ბელის შრომასთან, რომელიც წარმოადგენდა „პოსტინდუსტრიული



საზოგადოების” უბადლო თეორეტიკოსს (ეს ტერმინი ფაქტიურად არის სინონიმი „ინფორმაციული საზოგადოებისა” და სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარება ნაშრომში). აქ განიხილება მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურა და დაკვირვებადი ცვლილებების მოდელები. არსებობს ვარაუდი, რომ დასაქმებულობის შემცირება და მომსახურების სფეროში მისი გაზრდა განიხილება, როგორც ფიზიკური შრომის „თეთრსაყელოიანთა” შრომით ჩანაცვლება. რამდენადაც არაფიზიკური შრომის ნედლეულს ინფორმაცია წარმოადგენს, ამდენად ინფორმაციულ სფეროში შრომის წილის არსებითი ზრდა, შესაძლოა განიხილებოდეს როგორც ინფორმაციული საზოგადოების აღმოცენება.

პირველი შეხედვით (*prima facie*), ამის საბუთია იმის მტკიცება, რომ დასავლეთ ევროპაში, იაპონიაში და ჩრდილოეთ ამერიკაში მუშახელის 70%-ზე მეტი დაკავებულია მომსახურეობის სფეროში. სწორედ ამიტომ ბუნებრივად ჩანს მტკიცება იმის შესახებ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ინფორმაციულ საზოგადოებაში რაკი დასაქმების სფეროში დომინანტს ინფორმაციულ სფეროში დასაქმებულთა ჯგუფი წარმოადგენს. ინფორმაციული საზოგადოების დასაქმების სფეროში მომხდარ ცვლილებებზე აქცენტმა უკანასკნელ წლებში გადაინაცვლა – ადრე სათავეში ტექნოლოგია იდგა. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციული საზოგადოების ეს კონცეფცია პრინციპულად განსხვავდება იმისაგან, რომელიც ახალი საზოგადოების განმასხვავებელ ნიშნად ინფორმაციულ და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს გვთავაზობს. დასაქმების სფეროში ცვლილებებზე აქცენტი უფრო ხაზს უსვამს ინფორმაციის ტრანსფორმაციულ შესაძლებლობას, ვიდრე ინფორმაციული ტექნოლოგიების ზემოქმედებას, აქ ინფორმაცია იწარმოება დასაქმების სფეროში და რეალიზდება ხალხში სწავლებისა და გამოცდილების გზით. ჩარლზ ლიდბიტერი ხაზს უსვამდა იმას, რომ ინფორმაცია საზოგადოების განვითარების მთავარ ფაქტორად იქცა. ის წიგნში „Living on Thin Air” აცხადებს, რომ საზრიანობა, გამომგონებლობა, უნარი ქსელის დალაგებისა და გამოყენებისა არის ამ ცხოვრებაში წარმატების გასაღები, რამდენადაც კეთილდღეობა მიიღწევა არა ფიზიკური ძალისხმევით, არამედ იდეებით, ცოდნით, ნიჭითა და კრეატიულობით. მისი წიგნი მდიდარია მსგავსი წარმატების მაგალითებით: დიზაინერები, გენური ინჟინრები. იმიჯმეიკერები, მუსიკოსები, ბიოტექნოლოგები, დილერები, ე.წ. ნიშ – ფაინდერები (სპეციალისტები, რომლებიც კონკრეტული ბიზნესისათვის ახალ ნიშებსა და ახალ იდეებს ეძებენ).

მთელი რიგი ავტორიტეტული ავტორებისა დაწყებული რობერტ რაიხითა და პიტერ დრაკერით და დამთავრებული მანუელ კასტელსით ფიქრობენ, რომ თანამედროვე ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას ის ხალხი წარმოადგენს, რომელთა მთავარ შესაძლებლობას შეადგენს ინფორმაციის გამოყენება. როგორ ტერმინებსაც არ უნდა იყენებდნენ ისინი - “სიმბოლური ანალიტიკოსები”, “ექსპერტები”, “ინფორმაციული შრომა”, საერთო აზრი მუდმივად რჩება: დღეს ეკონომიკის მთავარ ძრავას წარმოადგენენ ისინი, რომელთა შრომაც ინფორმაციის შექმნასა და გამოყენებას მოითხოვს.



პირველი შეხედვით ლოგიკურად მოგვეჩვენება ის, რომ მაღაროელი ქვანახშირის მაღაროში ეკუთვნის ინდუსტრიულ საზოგადოებას, ხოლო ექსკურსიამდლოლი ინფორმაციულს. თუმცა შრომის დახარისხებამ კატეგორიების მიხედვით შეიძლება შეფასებით მსჯელობებთან მიგვიყვანოს და ამიტომ დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. სტატისტიკური ციფრის უკან – რომელიც გვიჩვენებს ინფორმაციულ სფეროში მომუშავეთა პროცენტს – შეიძლება მკვლევარების მიერ საკუთარი კატეგორიების შექმნისა და მის მიხედვით ხალხის განაწილების რთული პროცესი იმალებოდეს. მაგალითი, მეისრეები რკინიგზაზე უნდა ფლობდნენ დიდ ინფორმაცია გზების შესახებ, მატარებელთა მოძრაობის განრიგს, მარშრუტებს. მათ კავშირი უნდა ქონდეთ ხაზის სხვა მეისრეებთან, სადგურის პერსონალთან და მემანქანეებთან. მათ მოეთხოვებათ საკუთარი და მეზობელი უბნის ცოდნა, მათ უნდა შეადგინონ მოძრაობის ზუსტი გრაფიკი მთელ უბანზე და მას შემდეგ რაც შემოვიდა თანამედროვე აღჭურვილობა მათ აღარ სჭირდებათ განსაკუთრებული ფიზიკური ძალისხმევა ისრების გადასატანად. თუმცა ამის მიუხედავად რკინიგზის მეისრეები ითვლებიან „ინდუსტრიული საუკუნის“ მუშაკებად. ადამიანი კი, რომელიც მოდის თქვენი ასლის გადამღები აპარატის შესაკეთებლად, რომელთაც არც ისე ბევრი იციან ამ აპარატების შესახებ, ხშირად უწევთ ჭუჭყში, სიციხეში და არაკომფორტულ სიტუაციაში მუშაობა და დიდი ფიზიკური ძალისხმევის გამოყენება, რათა გამოცვალონ დაზიანებული ნაწილი, მას მიაკუთვნებენ ინფორმაციულ მუშაკს, რადგანაც მისი მუშაობა ახალ აპარატურასთან მიესადაგება პორატის ინტერპრეტაციას. აქედან გამომდინარე საჭიროა დადგეს იმ სტატისტიკური ციფრების საიმედოობის საკითხი, რომლებზეც გავლენასაც ახდენენ მკვლევართა პირადი შეხედულებები, რომლებიც შრომას, დასაქმებას აღნიშნული კატეგორიებით ანაწილებენ. ასეთი კატეგორიზაციის შედეგად შეუძლებელი ხდება გამოვყოთ ინფორმაციულ სფეროში საქმიანობა, რომელიც სტრატეგიულად ცენტრალურ ადგილს იკავებს დასაქმების სფეროში. ასეთი მეთოდოლოგია გვიჩვენებს ინფორმაციული დასაქმებულობის მოცულობას, თუმცა არ გვამღებს ინსტრუმენტს ინფორმაციული მუშაობის ყველაზე არსებითი მოცულობის დიფერენციაციისათვის. ინფორმაციული მუშაობის რაოდენობრივი გაზომვისას იფარება ფაქტი, რომ ინფორმაციული საქმიანობის განსაზღვრულ ტიპებს არანაკლები მნიშვნელობის შედეგების მოტანა შეუძლია საზოგადოებისათვის. ეს განსხვავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასაქმების სფეროში არსებულ სტატისტიკასთან მიმართებაში, რამდენადაც ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს დაახასიათოს ინფორმაციული საზოგადოება ისეთ ტერმინებში, როგორებიცაა “პროფესიათა უპირატესობა”, ან ელიტური “ტექნოსტრუქტურების” უპირატესობისკენ გადაადგილება, რომლებსაც საქმე “ორგანიზებულ ცოდნასთან” აქვთ, სხვები კი ყურადღებას ინფორმაციული საქმიანობის ალტერნატიულ წყაროებზე ამახვილებენ, რომლებიც სტრატეგიულად ცენტრალურ ადგილს იკავებენ.



აღსანიშნავია, რომ „ინფორმაციულ მუშაკთა“ დათვლა არაფერს გვაძლევს საზოგადოებაში იერარქიისა და მასთან დაკავშირებული სტატუსების განსაზღვრისათვის. მაგალითად, შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციული საზოგადოების საფუძვლად იქცა კომპიუტერის სპეციალისტების და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების მკვეთრი ზრდა, რადგანაც სწორედ მათ შეუძლიათ მოახდინონ გადამწყვეტი ზეგავლენა ტექნოლოგიური ინოვაციის მსვლელობაზე. ამავე დროს სოციალური მუშაკების საკმაოდ სწრაფად მზარდ კორპუსს, რომლებიც მუშაობენ ხანში შესულ ხალხთან, ოჯახურ კონფლიქტებზე და რთულად აღსაზრდელ მოზარდებთან, შესაძლოა ქონდეს ძალიან მცირე კავშირი ან საერთოდ არ ქონდეს კავშირები ინფორმაციულ საზოგადოებასთან, თუმცა სოციალური მუშაკები ინფორმაციულ - კომუნიკაციური ტექნოლოგიების სპეციალისტებთან ერთად მოხვდებიან ერთ საერთო - ინფორმაციული მუშაკების კატეგორიაში.

ჰაროლდ პერკინი თავის ნაშრომში „ The Rise of Professional Society“ ამტკიცებს რომ ბრიტანეთის ისტორია 1880 წლიდან შეიძლება აღიწეროს, როგორც სათავეში პროფესიონალთა წინსვლის ისტორია, რომლებიც ქვეყანას მართავენ “განათლებლით შექმნილი და არაკვალიფიციური მუშაკების შრომით გამაგრებული ადამიანური კაპიტალის წყალობით”. პერკინი ფიქრობს, რომ სერთიფიცირებული ექსპერტიზა იქცა ომის შემდგომი საზოგადოების ორგანიზაციულ პრინციპად. ექსპერტებმა შეცვალეს მანამდე დომინანტი ჯგუფები (მუშათა კლასის ორგანიზაციები, მეწარმე – კაპიტალისტები და აგრარული არისტოკრატია) და მათი მოძველებული იდეალები (თანამშრომლობისა და სოლიდარობის, საკუთრების, ბაზრის და კეთილშობილი ჯენტლმენის) თავისი პროფესიონალური ეთიკით – სერვისი (მომსახურეობა), სერტიფიცირება და ეფექტურობა. რა თქმა უნდა პროფესიონალები, რომლებიც კერძო სექტორში არიან დაკავებულები მწვავედ კამათობენ საზოგადოებრივ სფეროში მომუშავე ექსპერტებთან. პერკინი ამტკიცებს რომ ეს არის შიდა ბრძოლა, ბრძოლა „პროფესიონალური საზოგადოებისა“ და მასში გამორიცხულია სერიოზული მონაწილეობა მიიღონ არაექსპერტებმა .

პერკინის მოსაზრებებს განავრცობს ოლვინ გოულდნერის თავისი შეხედულებებით “ახალი კლასის” შესახებ. გოულდნერი XX საუკუნეში ფართოდ გავრცელებულ, დაქირავებული მუშაკის ახალ ტიპს განსაზღვრავს, როგორც ინტელექტუალებიდან და ტექნიკური ინტელიგენციისაგან შემდგარ “ახალ კლასს”, რომელსაც შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ბიზნესის და პარტიული ლიდერების კონტროლს. მიუხედავად ამ პოტენციური შესაძლებლობებისა, “ახალი კლასი” თავის თავში ატარებს დაპირისპირების მრავალ ნიშანს. მთავარი განხეთქილებაა ერთის მხრივ ტექნოკრატებსა და კონფორმისტებს და მეორეს მხრივ კრიტიკისა და დამოუკიდებელი აზროვნებისადმი დადებითად განწყობილ ინტელექტუალებს - ჰუმანიტარებს შორის. ეს განსხვავება ნათლად აისახება იმაში, რასაც პერკინი განსაზღვრავს, როგორც კერძო სფეროში



დასაქმებულ პროფესიონალებსა და საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულ პროფესიონალებს შორის კონფლიქტს. მაგალითად, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ბუღალტრები კერძო სექტორში უფრო კონსერვატორები, ხოლო ჰუმანიტარები უფრო რადიკალები არიან. გოულდნერმა და პერკინმა მართლაც დაადგინეს ინფორმაციული მუშაობის სფეროში მომხდარი სპეციფიკური ცვლილებები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მთელი საზოგადოებისათვის.

გოულდნერის აზრით ახალი კლასი გვადლევს ენას, რომელზეც ჩვენ შეგვიძლია წარვმართოთ მსჯელობა და კამათი შემდგომი სოციალური ცვლილებების თაობაზე. პერკინის აზრით პროფესიონალები ქმნიან ახალ ეთიკურ პრინციპებს საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზებისთვის. ადამიანი, რომელიც ცდილობს ამ მკვლევარების შრომებში ინფორმაციული საზოგადოების სპეციფიკური ნიშანი იპოვოს, იძულებული გახდება საზოგადოებაში გარკვეული ჯგუფების წვლილის ხარისხზე იფიქროს. ჩვენ შეიძლება დავეთანხმოთ მათ, ან არ დავეთანხმოთ. ერთი რამ კი ნათელია: საინფორმაციო საზოგადოების განსაზღვრა უხეში სტატისტიკური ციფრებით ეჭვის ქვეშ დგას. ისეთი მკვლევარებისთვის როგორცაა პერკინი და გოულდნერი რაოდენობრივი ფაქტორი არ არის მთავარი. ნამდვილად, როგორც არ უნდა გაიზარდოს ჯგუფები, რომლის შესახებაც გვქონდა საუბარი, მთელ მოსახლეობასთან მიმართებაში – პროპორციულად ისინი მაინც აშკარა უმცირესობაში დარჩებიან.

სივრცითი კრიტერიუმი

ზოგიერთი ავტორი ინფორმაციული საზოგადოების ინდიკატორად მიიჩნევს გეოგრაფიულ კრიტერიუმს. მთავარი აქცენტი კეთდება ინფორმაციულ ქსელზე, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა ადგილებს. ეს კონცეფცია ბოლო წლებში ძალიან პოპულარულია, რადგან ინფორმაციულმა ბადეებმა დაიწყეს მნიშვნელოვანი როლის შესრულება სოციალურ ორგანიზაციებში.

ინფორმაციული ბადე ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ადგილებს ოფისის შიგნით, ქალაქთან, რეგიონთან, კონტინენტთან და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან, ამ კავშირისათვის კი საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვართ “სადენების საზოგადოება”, რომელიც ფუნქციონირებს, ნაციონალურ, საერთაშორისო და გლობალურ დონეზე, “ინფორმაციული მაგისტრალები” უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიღებას ნებისმიერ ადგილას, სახლში, მაღაზიაში, ოფისში და უფრო მეტიც გზაშიც კი თუ გაქვთ ნოუთბუქი მოდემით.

ამა თუ იმ წესით, ჩვენ სულ უფრო მეტად ვერთვებით ქსელთა მუშაობაში და თავად ქსელები ინტერპრეტაციულად ავითარებენ თავის შესაძლებლობებს. სულ სხვადასხვა დონეებზე შეიძლება შევეჯახოთ მათ: ელექტრონულ სალარო აპარატებს მაღაზიებსა თუ რესტორნებში, კონტინენტების გავლით ინფორმაციის მიღებისას, ელექტრონული ფოსტით მიმოწერისას, ინტერნეტიდან მონაცემებისა და ცნობების მიღებისას.



კონკრეტულ ადამიანს შეიძლება არც კი ჰქონდეს კიბერსივრცესთან ურთიერთობის გამოცდილება, მაგრამ მასზე ინფორმაციული მაგისტრალი უფრო დამაბუღად მოქმედებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა კორპორაციული ურთიერთობების დონეზე.

ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ ელექტრონული "სუპერმაგისტრალის" წარმოშობამ კვლავაც მიაპყრო ყურადღება ინფორმაციის ნაკადს (კასტელსი), რასაც თავის მხრივ დროისა და სივრცის საკითხის გადახედვასთან მივყავართ.

ქსელურ საზოგადოებაში დაკავშირებული სირთულე დროსა და სივრცესთან - გადალახულია, კორპორაციებსა და ცალკეულ ინდივიდებს შეუძლიათ საქმეები აწარმოონ გლობალური მასშტაბით. მოსწავლეს არ სჭირდება ბიბლიოთეკაში საათობით ჯდომა. ყველა მისთვის საჭირო ინფორმაცია არის ინტერნეტში, მენეჯერს არ სჭირდება ერთი ქვეყნის ფილიალიდან მეორეში გადაფრენა, იმის გასარკვევად თუ როგორ მიდის საქმეები იმ ფილიალში, მენეჯერს შეუძლია ადგილიდან აწარმოოს დააკვირვება იქ მომუშავე მუშაკებზე. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ყოველივე ეს გამოიწვევს სოციალური წესრიგის სერიოზულ ტრანსფორმაციას.

არავინ უარყოფს იმას, რომ ინფორმაციული ქსელები – თანამედროვე საზოგადოების მნიშვნელოვანი განმასხვავებელი თვისებაა: თანამგზავრები საშუალებას გვაძლევენ რეალურ დროში, წამიერად დაუკავშირდეთ მთელ მსოფლიოს, მონაცემთა ბაზები ერთნაირად მისაღვამია ოქსფორდიდან, ლოს-ანჯელესიდან, ტოკიოდან თუ პარიზიდან, ფაქსის აპარატები და ლოკალური კომპიუტერული ქსელები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა თანამედროვე ბიზნესში. და მაინც ჩვენ გვაქვს უფლება დავსვათ კითხვა: რატომ მიაკუთვნებენ ანალიტიკოსები ქსელების არსებობის გამო საზოგადოებას ინფორმაციულის კატეგორიას? როგორც კი დავსვამთ ასეთ კითხვას, მაშინვე ვეჯახებით დეფინიციათა უზუსტობის პრობლემას. მაგალითად, როდის იქცევა ქსელი ქსელად? მაშინ, როდესაც ორნი ტელეფონით ლაპარაკობენ, თუ მაშინ, როდესაც ერთმანეთს უცვლიან დიდი მოცულობის ცნობებს, მონაცემთა პაკეტებს გადართვის კომპუტატორების მეშვეობით? თუ მაშინ, როდესაც ოფისი სადენებითაა დახლართული, თუ მაშინ როდესაც საოჯახო ტერმინალიდან შესაძლებელია ადგილობრივ ბანკთან თუ მაღაზიებთან დაკავშირება? კითხვა, რა არის სინამდვილეში ქსელი, ძალზე სერიოზულია და არა მხოლოდ იმას ეხება, თუ როგორი განსხვავებაა სხვადასხვა დონის ქსელებს შორის, არამედ იმასაც, თუ როგორ ვიპოვოთ ის საწყისი წერტილი, რომლის აღმოჩენის შემდეგ შეგვეძლება ვთქვათ, ჩვენ ვცხოვრობთ ქსელურ (ინფორმაციულ) საზოგადოებაში.

აქ სხვა პრობლემაც ჩნდება: ვიყენებთ თუ არა ჩვენ ინფორმაციული საზოგადოების ტექნოლოგიურ განსაზღვრებას (სხვა სიტყვებით, ქსელები ტექნოლოგიურ სისტემებად უნდა ჩაითვალოს თუ არა), თუ ყურადღება გავამახვილოთ ინფორმაციების ნაკადზე, რომელიც მრავალ ავტორთა აზრით ჩვენი ეპოქის განმასხვავებელი თვისებაა. თუ ვიღებთ პირველ განსაზღვრებას, მაშინ ინფორმაციული საზოგადოების მაჩვენებელი უნდა გახდეს ციფრული ქსელების გავრცელება ინტეგრირებულ მომსახურეობასთან



ერთად (ISDN), მაგრამ ამ მეცნიერთაგან თითქმის არავინ არ გვთავაზობს მეთოდს, რომლის მეშვეობითაც ვიხელმძღვანელებდით ამ საკითხის გადაწყვეტისას. თუ მეორე განსაზღვრებას ავიღებთ, მაშინ ჩნდება კითხვა: ინფორმაციის როგორი მოცულობა და გადაცემის სიჩქარე განსაზღვრავს ინფორმაციული საზოგადოების წარმოქმნას და რატომ? ბოლოს და ბოლოს, ინფორმაციული ქსელები დიდი ხანია რაც არსებობენ, მაგალითად, საფოსტო კავშირი, ტელეგრაფი და ტელეფონი ძალიან დიდ ხნის წინ შეიქმნა. ეკონომიკა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობა და ცხოვრება ამ ქსელების გარეშე წარმოუდგენელი იყო, თუ ყოველივე ამაზე ყურადღებას გავამახვილებთ მაშინ ისევ ჩნდება კითხვა, რატომ მაინც და მაინც ახლა ალაპარაკდნენ მეცნიერები ინფორმაციულ საზოგადოებაზე?

კულტურული კრიტერიუმი

დღეს რადიოსადგურები – ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო – გაცილებით მეტია, ვიდრე ათი წლის წინათ იყო. თანაც რადიომიმღებები არ დგას მხოლოდ მისაღებ ოთახში, სახლში, მანქანაში, ოფისში და თუ პორტატულებსაც გავითვალისწინებთ, იგი ყველგან არის. კინო უკვე დიდი ხანია გახდა ინფორმაციული გარემოს მნიშველოვანი ელემენტი, მაგრამ კინოსაც დღეს გაცლებით მეტს უყურებენ: როგორც კინოთეატრებში, ისე ტელევიზიით, აგრეთვე ვიდეოკასეტებით. პრაქტიკულად არ არსებობს ქუჩა, სადაც ვერ ვერ დაინახავთ აფიშებს, სარეკლამო ბანერებს, ვიტრინებში სარეკლამო განცხადებებს. ნებისმიერი რკინიგზისა და ავტომანქანების სადგურები სავსეა თხელყდიანი და იაფფასიანი წიგნებით და ჟურნალებით. დამატებით, რადიო, აუდიოკასეტები, კომპაქტ – დისკები სულ უფრო დაბალი ფასებით, იაფად გვაწვდიან მუსიკას, პოეზიას, დრამატურგიას, იუმორს და საგანმანათლებლო პროგრამებს. გაზეთებიც უფრო იაფდება, სულ უფრო ხშირად ჩნდება ახალი, უფასო ეგზემპლარები, რომელიც შეიძლება საკუთარი ფანჯრის რაფაზეც კი აღმოაჩინოთ.

ყოველივე ეს ადასტურებს იმას, რომ ჩვენ ვცხოვრობთ მედიით ავსებულ საზოგადოებაში, მაგრამ ეს ჩამონათვალი ვერ გვიჩვენებს, რომ ინფორმაციული გავლენა ჩვენზე გაცილებით უფრო ფაქიზია და უფრო ღრმად აღწევს ჩვენში, ვიდრე ეს დასაწყისში გვეჩვენება. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ინფორმაციის ახალი საშუალებები გარს გვაკრავს, გვაწვდიან რა თავიანთ „შეტყობინებებს“, რომლებზეც თავისუფლად შეგვიძლია ვუპასუხოთ ან მხედველობაშიც კი არ მივიღოთ. რეალურად ჩვენ უფრო მჭიდროდ ვართ დაკავშირებული ინფორმაციულ გარემოსთან, იგი ჩვენი პიროვნების შემადგენელ ელემენტად იქცევა და აღწევს ჩვენში. მაგალითად, გიფიქრიათ იმ ტანსაცმლის ინფორმაციულ მნიშვნელობაზე, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, ჩვენი ვარცხნილობისა თუ სახეების, ყველა იმ საშუალებების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც ვქმნით იმიჯს. განაზრებანი მოდის პრობლემების იმ საშუალებებისა თუ ხერხების სირთულის შესახებ, რომლებსაც ვიყენებთ და მივმართავთ, ჩვენი ყოველდღიური



იმიჯისა თუ სახის შესაქმნელად, გვაიძულებს გავიგოთ, რომ სოციალური ურთიერთობათა ინფორმაციული შინაარსი უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა აქამდე. სხეულის მორთულობა, ტანსაცმელი, გრიმი მუდამ იყო სტატუსის, ძალაუფლების, სოციალური მიკუთვნებულობის ნიშნები, მაგრამ ჩვენს დროში, ცხადია, რომ სხეულისა და ტანსაცმლის სიმბოლური მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა. როდესაც იაზრებ, თუ რამდენად მცირე მნიშვნელობას გადასცემდა გლეხის ჩაცმულობა, რომელიც მათი უმრავლესობის სამოსი იყო საუკუნეების მანძილზე, იმას, თუ როგორი ერთსახოვანი იყო მუშათა კლასის წარმომადგენელთა ტანსაცმელი, რომელსაც ისინი თითქმის 1950 წლებამდე ატარებდნენ, მაშინ იწყებ იმის გაგებას, რომ ტანსაცმლის სფეროში უბრალოდ მნიშვნელობათა რაოდენობის ფეთქებადი ზრდა მოხდა. იაფი და მოდური ტანსაცმელის ხელმისაწვდომობა, მსგავსი ცხოვრების წესის (ან სავსებით განსხვავებული წესის) მქონე ჯგუფებისადმი, მსგავსი ან განსხვავებული კულტურის მქონე ჯგუფებისადმი მიერთების შესაძლებლობა – ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ თუნდაც თვით ჩვენი სხეულის ინფორმაციული შინაარსიც კი.

თანამედროვე კულტურა ბევრად უფრო ინფორმაციულია, ვიდრე ნებისმიერი წინამორბედთაგანი. ჩვენ ვცხოვრობთ მედიით გაჯერებულ გარემოში, რაც ნიშნავს: ცხოვრება არსებითად სიმბოლიზირდება, იგი მიმდინარეობს ჩვენს ან სხვების შესახებ ინფორმაციის გაცვლისა და მიღების ან გაცვლისა და მიღებაზე უარის თქმის – პროცესებში. საზრისთა და მნიშვნელობათა ფეთქებადი ზრდის აღიარება მრავალ ავტორს აიძულებს ილაპარაკოს, რომ შევედით ინფორმაციულ საზოგადოებაში. ისინი იშვიათად ცდილობენ შეაფასონ ეს განვითარება რაოდენობრივ მახასიათებლებში, უბრალოდ იწყებენ იმისაგან, თუ რამდენად „ცხადია“, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ნიშნების ოკეანეში, რომლებიც გაცილებით მეტია, ვიდრე წინამორბედ ეპოქაში იყო.

პარადოქსია, მაგრამ სწორედ ამ ინფორმაციულმა აფეთქებამ აიძულა მრავალი ავტორი განეცხადებინა ნიშნის სიკვდილის შესახებ. ნიშანი ყოველი მხრიდან გვიტევს, ჩვენ თვითონ ვქმნით საკუთარ თავს ნიშნებისაგან, შესაძლებლობა არა გვაქვს დავემალეთ მათ – ყოველივე ამას კი საზრისის, მნიშვნელობის კოლაფსთან მივყავართ. ჟან ბოდრიარი წერს: „ინფორმაცია სულ უფრო მეტი და ბევრია, საზრისი და მნიშვნელობა კი სულ უფრო მცირე და ნაკლებია“. ამ თვალსაზრისით ნიშნები ადრე რაღაცას მაინც აღნიშნავდნენ (მაგალითად, ტანსაცმელი აღნიშნავდა სტატუსს, პოლიტიკური განცხადება – გარკვეულ ფილოსოფიას). მაგრამ პოსტმოდერნიზმის ერაში აღმოვჩნდით ნიშნების ისეთ გასაოცარ აბლაბუდაში, რომ მათ თავიანთი მნიშვნელობა დაკარგეს. ეს ნიშნები სხვადასხვა მხრიდან გვიტევენ, ისინი განსხვავებულნი არიან, სწრაფად იცვლებიან, ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, რის შედეგადაც აღნიშვნის მათეული უნარი გაუფერულდა და დაკნინდა. გარდა ამისა, ახლა აუდიტორია კრეატიულია, აქვს თვითცნობიერება და რეფლექსია, ყველა ახალ ნიშანს სკეპტიკურად და ცინიკურად უყურებენ და ხვდებიან, ამიტომ ადვილად ახერხებს ამ ნიშნის პირველადი საზრისის



დამახინჯებას, გადამისამართებას, სხვაგვარად ინტერპრეტირებას. რამდენადაც უშუალო, პირდაპირ გამოცდილებიდან მიღებული ცოდნა თავის პოზიციებს კარგავს, ცხადი ხდება, რომ ნიშნები მეტად აღარ წარმოადგენენ პირდაპირ რაღაცას ან ვიღაცას. ცნება იმის შესახებ, რომ ნიშანი წარმოადგენს და გამოსახავს რაიმე „რეალობას“, გარდა საკუთარისა (თავად ნიშნისა), კარგავს საიმედოობასა და უტყუარობას. უფრო მეტიც, ნიშნები მხოლოდ თავის თავს აღნიშნავენ: ისინი სიმულაციებია – და არის ყველაფერი ის, რაც არის. კვლავაც ბოდრიარის სიტყვებით თუ ვიტყვით, ნიშნები ეს – „ჰიპერრეალობა“.

ადამიანები მზად არიან დაეთანხმონ ნივთთა ასეთ ვითარებას; ისინი დასცინიან პოზირებას, იმას ვინც პოზირებს იმისათვის, რათა გარკვეული ეფექტი მოახდინოს სხვებზე, მაგრამ აღიარებენ, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ხელოვნურია; ისინი სკეპტიკურად უყურებენ პოლიტიკოსებს, რომლებიც „მართავენ მასმედიას და პიარის მეშვეობით იქმნიან საკუთარ იმიჯს, მაგრამ ამავე დროს აღიარებენ, რომ ყველაფერი ეს საინფორმაციო მენეჯმენტისა და მანიპულაციების საკითხია. ამგვარად, ითვლება, რომ ადამიანი არ განიცდის ნამდვილი, სიმართლის მატარებელი ნიშნების მოთხოვნილებას, რამეთუ იგი ეთანხმება იმას, რომ არანაირი სიმართლე და ჭეშმარიტება მეტად აღარ არსებობს. ამ თვალსაზრისით, ჩვენ შევედით „სანახაობათა“ საუკუნეში, ეპოქაში, როდესაც ადამიანი აცნობიერებს ყველა იმ ნიშნის ხელოვნურობას, რომელიც მას შეუძლია მიიღოს (იქნება ეს – პრემიერა, ბოლო წარმატებული ფოტოსურათი, თუ შეთითხნილი ახალი ამბები, ეს - ჯეკი რომელიც უხემ ბიჭს თამაშობს), და როდესაც ადამიანი აღიარებს იმ ნიშნების არანამდვილობას, არააუთენტურობას, რომლისგანაც თავის თავს ქმნის („მე ახლახანს შევარჩიე ჩემი სახე“, „იქ მე შემფოთებული მამის როლს ვთამაშობდი“).

ყოველივე ამის შედეგად ნიშნები კარგავენ თავის მნიშვნელობას და ადამიანები უბრალოდ ურჩევენ იმას რაც მათ მოსწონთ (ჩვეულებრივ ეს მნიშვნელობები მკვეთრად განსხვავდებიან ნიშანში თავდაპირველად ჩადებული მნიშვნელობებისაგან). შემდეგ კი, კრებენ, თავს უყრიან რა ამ ნიშნებს სახლისათვის, სამსახურისათვის და თავისი თავისთვის, ისინი მხიარულად „თამაშობენ“, ურევენ რა ერთმანეთში განსხვავებულ სახეებს, რომლებიც არანაირ საზრისებს და მნიშვნელობებს არ გამოხატავენ, სიამოვნებას პაროდიებისა და კომპილაციებისაგან იღებენ. მაშასადამე, ასეთ ინფორმაციულ საზოგადოებაში ჩვენ გვაქვს „მნიშვნელობათა ნაკრები, რომლებიც გადმოცემულია, მაგრამ მნიშვნელობა არა აქვთ“.

თუ გამოცდილებისაგან ამოვალთ ინფორმაციული საზოგადოების ასეთი იდეის აღიარება ძალიან ადვილი საქმეა, მაგრამ როგორც ახალი საზოგადოების დეფინიცია ყველაზე მოუხელთებელია იმათაგან, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არ არსებობს კრიტერიუმები, რომელთა დახმარებითაც ჩვენ შეგვეძლებოდა მნიშვნელობათა (საზრისთა) რაოდენობის ზრდის გაზომვა, მაშინ



ძნელია გავიგოთ, თუ როგორ ახერხებენ პოსტმოდერნიზმის ისეთი მომხრეები, როგორცაა მარკ ფოსტერი, თანამედროვეობის, რომელსაც ახასიათებს როგორც ინფორმაციის ახალ წესს, აღწერას. საიდან, თუ არა ჩვენი საკუთარი შეგრძნებებიდან, შეგვიძლია ვიცოდეთ, რომ ხდება სიმბოლური ურთიერთქმედებების გაფართოება და ზრდა? და როგორი მონაცემების საფუძველზე უნდა გამოვეყოთ ეს საზოგადოება, მაგალითად 1920-იანი წლების საზოგადოებისაგან, გარდა განსხვავებების ზრდისა და გაფართოებისა? როგორც დავინახავთ (თავი IX), იმ მოაზროვნეებს ვინც ასახავს პოსტმოდერნის პირობებს, ძალუბთ მრავალი საინტერესო მოსაზრებების ჩამოყალიბება თანამედროვე კულტურის ხასიათისა და არსის შესახებ, მაგრამ რაც შეეხება ინფორმაციული საზოგადოების ნათელს განსაზღვრებებს, მათი მცდელობები აქ სავსებით უზადრუკი და უსუსურია.

ხარისხი [თვისობრიობა] და რაოდენობა

ნათელია, რომ ზემოთ განხილული კონცეფციები არასაკმარისი ან არაზუსტია, ისინი პრობლემურნი არიან, რადგან ვერ განსაზღვრავენ ზუსტად რა არის და რისგან შედგება ინფორმაციული საზოგადოება. თუმცა ინფორმაცია დიდ როლს თამაშობს დღევანდელ მსოფლიოში, ის გახდა ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ჩვენი დროისა.

ინფორმაციულ საზოგადოებასთან ერთად აღმოცენდებიან პრობლემები: წინააღმდეგობა რაოდენობრივ და ხარისხობრივ განზომილებებში. რაოდენობრივ მიდგომას არ შეუძლია გამოეყოს უფრო მეტად სტრატეგიული მნიშვნელოვანი ინფორმაციული მოქმედება რუტინისაგან, რომელიც გადის დაბალ დონეზე, ხოლო მოქმედების ამ ორი ტიპის არევის მიყვარათ შეცდომებთან. აქ ისმის კითხვა: აღნიშნავს კი ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლა წინა საზოგადოებრივი ტიპებისგან მოწყვეტას?

ინფორმაციული საზოგადოების განსაზღვრებების უმეტესობა ამოდის რაოდენობრივი ხასიათიდან და გვთავაზობენ, რომ როცა ინფორმაციული საზოგადოება იწყებს დომინირებას, ჩვენ მასში ვეშვებით, მაგრამ ჩვენ არ ვიცით როგორია ეს ახალი ტიპის საზოგადოება, რომელშიც მიმდინარეობს ძალიან დიდი მოცულობის ინფორმაციის გაცვლა – შენახვა. თუ ინფორმაცია დიდია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რაღაც პრინციპულად ახალია მასში. პირიქით, სრულიად რეალურად აღწერს ახალი ტიპის საზოგადოებას ისეთ საზოგადოებად, რომელშიც ინფორმაცია თამაშობს თვისებრივად განსხვავებულ როლს და ასრულებს განსხვავებულ ფუნქციებს. შეგვიძლია თეორიულად წარმოვიდგინოთ საკუთარი თავი ინფორმაციულ საზოგადოებად, სადაც “ინფორმაციული ექსპერტების” არცთუ ისე დიდი ნაწილი ფლობს რეალურ ძალაუფლებას. საჭიროა მხოლოდ ჩავიხედოთ ჰერბერტ უელსის სამეცნიერო – ფანტასტიკურ ნაწარმოებში, რომ წარმოვიდგინოთ საზოგადოება, რომელშიც დომინირებს ცოდნის მფლობელი ელიტა, ხოლო უმეტესობა, ეკონომიკური მოთხოვნელობის უქონლობის გამო განწირულია უმუშევრობისა და უსაქმურობისთვის. რაოდენობრივი პარამეტრის თვალსაზრისით,



დასაქმების სფეროსთან კავშირში, ეს არ იქნება “ინფორმაციული საზოგადოება”, მაგრამ მოგვიწევს მივიჩნიოთ ის ასეთად, რამდენადაც ინფორმაცია (ცოდნა) თამაშობს გადამწყვეტ როლს ძალაუფლების სტრუქტურებში და სოციალური ცვლილებების მიმართულების არჩევაში.

რაოდენობრივ პარამეტრებს – უბრალოდ მეტ ინფორმაციას – თავდაც არ შეუძლიათ წარმოშვან განხეთქილება წინა სისტემებისგან, თუმცა უკიდურეს შემთხვევაში თეორიულად შეიძლება განვიხილოთ არც ისე დიდი, მაგრამ გადამწყვეტი რაოდენობრივი ცვლილება, როგორც სისტემური ძვრა. დღეს ჩვენ უფრო მეტი ავტომობილი გვაქვს, ვიდრე 1970 წელს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ “საავტომობილო საზოგადოება” ვართ. მაგრამ სწორედ სისტემურ ცვლილებებზე მიუთითებენ ისინი, ვინც წერენ ინფორმაციულ საზოგადოებაზე - ბელის პოსტინდუსტრიალიზმიდან, კასტელის განვითარების ინფორმაციული ტიპის გავლით პოსტერის ინფორმაციის წესებამდე.

რაოდენობრივი ზრდა – გაუგებარია როგორი საშუალებებით ტრანსფორმირდება სოციალური სისტემის თვისობრივ ცვლილებებში.

თეოდორ როზაკი ხაზს უსვამს ინფორმაციის ხარისხობრივი ანალიზის აუცილებლობას. აქედან გაიგება ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ყოველ დღე, ვატარებთ განსხვავებას ისეთ მოვლენებში როგორცაა მონაცემები, ცოდნა, გამოცდილება და სიბრძნე, ეს ტერმინები “წელვადია” და ის რაც, ერთისთვის წარმოადგენს ცოდნის შეძენას (მაგალითად ატესტატის აღება) მეორესთვის შეიძლება აღმოჩნდეს ინფორმაცია (მაგ: უნივერსიტეტში ჩაბარების პირობები), მაგრამ ყველა ეს მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. როზაკის წარმოდგენით ახლანდელი “ინფორმაციის კულტი” ემსახურება ხარისხობრივი განსხვავებების ისეთი სახეების ქრობას, რომლებიც ყოველდღიური ცხოვრების არსს შეადგენენ. ეს “გაქრობა” მიიღწევა მუდმივი მტკიცებით, რომ ინფორმაცია – წმინდად რაოდენობრივი ფაქტორი და სტატისკური გაზომვის საგნია. სასარგებლოა კი ინფორმაცია? მართალია იგი თუ ტყუილი, მხედველობაში არ მიიღება.

როცა ყველა ინფორმაცია განიხილება ერთგვაროვან მასად და შესაბამისად ხდება მისაწვდომი გაზომვისთვის, კითხვის თვისებრივი მხარე რჩება აზროვნების ველს მიღმა: “ინფორმაცია აღმოჩნდება კომუნიკაციური გაცვლების წმინდა რაოდენობრივ გაზომვად”. ინფორმაციის რაოდენობრივ გაზომვასთან ერთად ვრწმუნდებით, რომ მისი დიდი რაოდენობა აღნიშნავს საზოგადოების ცხოვრების ღრმა ტრანსფორმაციას, იღებენ რა ინფორმაციული საქმიანობის გასაოცარ ციფრებს და უგულვებელყოფენ რა თვისებრივ განსხვავებულობებს ინფორმაციული საზოგადოების თეორეტიკოსები ირწმუნებიან რომ ეს ტენდენციები თვისებრივად ცვლიან ჩვენს ცხოვრებას. როზაკისთვის ყველა ეს ინფორმაციული ჭორაობის მითოლოგიაა: ტერმინი ფარავს განსხვავებას, ჩვენს დარწმუნებას კი იმით ცდილობენ, რომ მთელ ინფორმაციას ათავსებენ ერთ დიდ ქოთანში, თითქოს მისი შემადგენლობა ცხოვრების ელექსირია და არა საკვებად ნაკლები



შეჭამადი, ეს ძალიან სასარგებლოა მათთვის ვისაც სურს, რომ საზოგადოება დაეთანხმოს ცვლილებებს, რომლებიც არ არიან ამდენად უდავო და უეჭველი. როზაკი აღნიშნავს: „ინფორმაციას გააჩნია უსაფრთხო ნეიტრალურობის მისტანებელი (შესატანებელი): და ძალიან უბრალო და სასარგებლოა შემოსაზღვროს უკამათო ფაქტების მთები. ასეთი უდანაშაულო საფარველი საწყისი პოზიციაა ტექნოკრატების პოლიტიკური ჩანაფიქრებისთვის, რომელთაც არ სურთ გაამხილონ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, თავიანთი ჭეშმარიტი მიზნები. ბოლოს და ბოლოს, რა შეიძლება გვექონდეს საკამათო ინფორმაციის წინააღმდეგ?“

ხალხს იმდენად დიდი რაოდენობით “კვებავენ” კომპიუტერის განუსაზღვრელი შესაძლებლობების სტატისტიკური მონაცემებით, ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით მონაცემების დამუშავებით და ციფრული ქსელების შექმნით, ხალხი მზადაა დაიჯეროს, რომ ინფორმაცია სოციალური სისტემების ფუნქციონირების მთავარი ელემენტია. იმ არგუმენტის საპირისპიროდ - “ინფორმაციის დიდი რაოდენობიდან თვისებრივად ახალ საზოგადოებად” თეოდორ როზაკი გამოთქვამს მოსაზრებას: “მთავარი იდეები”, რომლებიც ჩვენი ცივილიზაციის საფუძველშია, სრულებითაც არაა დაფუძნებული ინფორმაციაზე. ისეთი პრინციპები, როგორცაა “ყველა ადამიანი თანასწორია”, “ის მაინც ჩემი ქვეყანაა, მართალია თუ არა ის”, “იცხოვრე და სხვასაც მიეცი ცხოვრების საშუალება”, “ჩვენ ყველა ღვთის შვილები ვართ” და “მოექეცი ისე სხვას, როგორც შენ გინდა რომ მოგექცნენ” – იკავებენ ცენტრალურ ადგილს, მაგრამ ისინი წარმოიშვნენ ინფორმაციის “საუკუნემდე”. როზაკი არ ამტკიცებს, რომ ყველა ეს იდეა მართალია (პირიქით, ზოგიერთ მათგანი მავნებელია: “ყველა ევროპელი მდიდარია”, “ყველა ქალი დამჯერია”, “ყველა ბუნებრივად შავი, კარგი სპორტსმენია”), ის უბრალოდ ხაზს უსვამს, რომ იდეები, თვისებრივი შეფასებები, რომლებსაც ისინი გარდუვალად თან ატარებენ თავისთავში, აქვთ მეტად ადრეული წარმომავლობა, ვიდრე ინფორმაციისადმი რაოდენობრივ მიდგომებს. როზაკი განსაკუთრებით გამოდის თეზისის წინააღმდეგ, რომ ინფორმაციის დიდ რაოდენობას მივყავართ იმ საზოგადოების ფუნდამენტურ ცვლილებასთან, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

რა არის ინფორმაცია?

როზაკს სურს, რომ ინფორმაციული საზოგადოების შესახებ მსჯელობაში შევიტანოთ თვისობრივი მსჯელობა. დიდი რაოდენობის ინფორმაცია გვაქცევს თუ არა უფრო მეტად ინფორმირებულ მოქალაქეებად? როგორი გვარის ინფორმაცია იქმნება და ინახება, მთლიანობაში საზოგადოებისთვის რა ფასეულობას ფლობს? ინფორმაციული საქმიანობის როგორი სახეები იზრდება, რატომ იზრდება და სადამდე გაიზრდება?

ინფორმაციის პირველი განსაზღვრება, რომელიც მოგვდის თავში – სემანტიკურია; ინფორმაციას აქვს საზრისი, მნიშვნელობა; მას აქვს საგანი; ის არის მონაცემები ან რაიმეს, ან ვინმეს შესახებ, ან მოქმედების სახელმძღვანელო. თუ ინფორმაციული



საზოგადოების დეფინიციისთვის გამოვიყენებთ ინფორმაციის ასეთ კონცეფციას, საბოლოო ჯამში მიგვიყვანს ინფორმაციის ამ მახასიათებლების განხილვასთან. ასეთი პრობლემების, ასეთი სფეროების, ასეთი ეკონომიკური პროცესების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს კიდევ ახალი ერის(იგულისხმება ერა) არსს. ერთის მხრივ ინფორმაციული საზოგადოების თეორეტიკოსები უკუაგდებენ სწორედ ამას, სრულიად ეთანხმებიან რა ინფორმაციის განსაზღვრების საღ აზრს და ნამდვილად, წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ინფორმაციას აქვს უპირველეს ყოვლისა სემანტიკური შინაარსი, მივიწყებული აღმოჩნდა. ინფორმაციის განსაზღვრის რაოდენობრივი მიდგომისათვის შეიძლება გამოვიყენოთ კლოდ შენონის და უორენ უივერის კლასიკური თეორია. ამ თეორიის მიხედვით ინფორმაცია ეს არის რაოდენობა გაზომილი “ბიტებში”. ეს დეფინიცია წარმოიქმნა კომუნიკაციური ტექნოლოგიების ინჟინრების მოთხოვნით, რომლებიც დაინტერესებულნი არიან შენახული და გადაცემული სიმბოლოების გაზომვით, რომელიც დაფუძნებულია ორობითი დათვლის სისტემაზე (ჩართვა-გამორთვა, 3ო - არა, 0-1). ასეთი მოუხერხებელი განსაზღვრება მხოლოდ მათემატიკური მეთოდისთვის აღმოჩნდა მისაღები. ყოველდღიურ ცხოვრებაში როცა ინფორმაციას ვღებულობთ, პირველ რიგში მას ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას, არსებითია თუ არა ის, რამდენად საინტერესოა, კომპეტენტური და სასარგებლოა. მაგრამ ინფორმაციის თეორიისთვის ეს პარამეტრები არ არსებობს. ეს თეორია გვამღვეს განმარტებას იმისგან დამოუკიდებლად რას შეიცავს ეს ინფორმაცია და განიხილავს მას, როგორც ფიზიკური სამყაროს ნაწილს, როგორც ენერგიას ან მატერიას. აი რას წერს ერთ-ერთი ინფორმაციის თეორეტიკოსი: “ინფორმაცია არსებობს, მან რომ იარსებოს არ არის აუცილებელი რომ მას აღიქვამდნენ, რომ იგებდნენ, ის არ მოითხოვს გონით ძალებს ინტერპრეტაციისთვის, ის არ მოითხოვს საზრისს, ის არსებობს.”

თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ორი შეტყობინება (ერთი - ღრმა აზრის მქონე, მეორე - სისულელე, უაზრობა) შეიძლება იყოს თანასწორი. სიტყვა “ინფორმაციამ” მიიღო მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც იგი აღნიშნავს ყველაფერს, რაც შეიძლება კოდირებული იქნეს წყაროდან მიმღებზე გადაცემისთვის, მისი სემანტიკური მნიშვნელობისგან დამოუკიდებლად. ეს გვამღვეს საშუალებას ინფორმაცია წარმოვიდგინოთ რაოდენობრივი სახით, თუმცა იმის ფასად, რომ დავკარგოთ მისი აზრობრივი და ხარისხობრივი მხარე. ასეთ თვალსაზრისს ჩვენ არა მარტო მათემატიკურ, ტექნოლოგიურ ან საზოგადოების ინფორმაციულ-სივრცობრივ კონცეფციებში ვხვდებით, არამედ ეკონომიკურ კონცეფციებშიც ხდება ინფორმაციის საზრისის იგნორირება. ინჟინერ-ინფორმაციონისტიისთვის მთავარია სიმბოლოების რაოდენობა და ორობითი სისტემა, ინფორმაციული სფეროს ეკონომისტიისათვის კი – გაყიდვის მოცულობა.

60 - იან წლებში კენედ ბოულდინგი აღნიშნავდა: ბიტი მთლიანად აბსტრაგირებულია, მოწყვეტილია ინფორმაციის შინაარსისგან და მიუხედავად იმისა, რომ ის ძალიან გამოსაყენებელია სატელეფონო ინჟინრებისთვის. სოციალური სისტემების



თეორიტიკოსებს სჭირდებათ გაზომვის ერთეული, რომელიც ყურადღებას გაამახვილებდა საზრისსა და მნიშვნელობაზე. ეკონომისტები ცდილობენ გადაჭრან ხარისხის საკითხი, რომელიც ინფორმაციისთვის წარმოადგენს მთავარს რაოდენობრივი მიდგომით. ღირებულება და ფასზე ოპერირება, რომელიც უკეთეს შემთხვევაში წარმოადგენს ხარისხის “გამოცნობას”, ანუ შეცვალო ინფორმაციის შინაარსობრივი შეფასება მონეტების გაზომვად გრაფებად. ვლუბულობთ შთამბეჭდავ სტატისტიკურ შედეგებს, მაგრამ გვავიწყდება, რომ ინფორმაცია ყოველთვის რაღაცის შესახებაა. და ბოლოს, ის რომ კულტურა აგებულია მნიშვნელობებისგან, იმის შესახებ რატომ ცხოვრობენ ადამიანები ასე და არა სხვაგვარად, უბრალოდ გასაოცარია როგორ აღფრთოვანებას იწვევს პოსტმოდერნისტებისას ის, რომ სიმბოლო კარგავს რეფერენტულ მახასიათებელს კომუნიკაციურ და ეკონომიკურ თეორიებში. ეს რაღაცნაირი მაგიაა ინფორმაციის გავრცელების შესახებ, მისი ფანტასტიური ექსპანსია, რისი შედეგიც არის სემანტიკური საფუძვლის დაკარგვა. სიმბოლოები ახლა ყველგან სულ იწარმოებიან ისეთ რაოდენობებში, სადაც ნეიტრალიზირდება მათი მნიშვნელობა და ისინი აღარაფერს აღნიშნავენ.

ექვგარეშეა, რომ ინფორმაციის რაოდენობრივი გაზომვის შესაძლებლობა უსარგებლოა სოციოლოგებისთვის, თუმცა ეს არგუმენტი არასაკმარისია, უფრო ღრმა გაგებისთვის რა არის ინფორმაციული საზოგადოება, რით გავს ან განსხვავდება სხვა სოციალური სისტემებისგან, ჩვენ უნდა შევისწავლოთ ინფორმაციის მნიშვნელობა და ხარისხი. რომელმა ინფორმაციამ განიცადა განსაკუთრებით სწრაფი ზრდა? ვინ აწარმოებს ასეთი ტიპის ინფორმაციას, რა მიზნებისთვის, რა საშუალებებით? განსხვავებულია შეხედულებები იმ მეცნიერებისა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ინფორმაციის მნიშვნელობით და ხარისხით, იმათგან ვინც მას არასემანტიკურად განიხილავს. პირველები არ ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ინფორმაციის წარმოებამ მიგვიყვანა ინფორმაციული საზოგადოების წარმოშობასთან.

თეორიული ცოდნა

არსებობს სხვა მიმართულებაც, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვცხოვრობთ ინფორმაციულ საზოგადოებაში, მაგრამ ის არ საჭიროებს ინფორმაციის საზრისის კვლევას. ჩვენ სულაც არ გვჭირდება ინფორმაციის რაოდენობრივი გაზომვა იმის შესაფასებლად თუ რა კავშირშია მასთან დასაქმების სფეროსა და ეკონომიკის ზრდა, რადგან გადმწყვეტი რაოდენობრივი ცვლილებები ინფორმაციის გამოყენების წესებში მოხდა. ამ მეცნიერებებისთვის ინფორმაციული საზოგადოება - ესაა ისეთი საზოგადოება, სადაც დომინანტ როლს თეორიული ცოდნა თამაშობს, რაც ადრე არ იყო. ერთმანეთისგან განსხვავებული თეორეტიკოსები თანხმდებიან იმაზე, რომ ინფორმაციული საზოგადოება (უპირატესობა ენიჭებოდა ტერმინს “ცოდნის საზოგადოება” იმ აზრით, რომ ეს ტერმინი უფრო მეტს შეიცავს, ვიდრე ინფორმაციის ერთი ბიტი განსაზღვრავს) ისე არის



მოწყობილი, პრიორიტეტი გადადის თეორიაზე, თუმცა ეს პრიორიტეტი ინფორმაციული საზოგადოების თეორიებში ნაკლებად განიხილება და შემოტანილია მხოლოდ იმიტომ, რომ გვაჩვენოს თანამედროვეობის დამახასიათებელი ნიშანი. თეორიულ ცოდნაში აქ იგულისხმება აბსტრაქტული, განზოგადებული და კოდირებული ცოდნა. აბსტრაქტული იმიტომ, რომ არ გამომდინარეობს უშუალოდ მოცემული სიტუაციიდან, განზოგადებული იმიტომ, რომ ინარჩუნებს მნიშვნელობას კონკრეტული გარემოებებისგან დამოუკიდებლად, მისი მატარებლებია წიგნები, სტატიები, სატელევიზიო პროგრამები და ა.შ.

თეორიული ცოდნა თამაშობს გადამწყვეტ როლს თანამედროვე საზოგადოებებში წინა ეპოქებისგან განსხვავებით, სადაც დომინირებდა პრაქტიკული და სიტუაციური ცოდნა. მაგ; სამრეწველო რევოლუცია, ნათელია რომ ბელის თქმით: ტალანტიანი გამომგონებლებისთვის მეცნიერება და ფუნდამენტური კანონები, რომელიც მათი გამოგონებების საფუძველია, უცნობი იყო მათთვის. სტივენსონის ორთქმავალის გამოგონება და ბოულტონის ინჟინერული გამოგონებები და ბევრი სხვა, რომელიც 1750-1850 წლებში გაკეთდა იყო იმ ადამიანების შრომის ნაყოფი, რომლებიც ცხოვრებაში უშუალოდ ეჯახებოდნენ პრაქტიკულ ამოცანებს და პრაქტიკული მეთოდებით. ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამეფებული იყო ცდის, ექსპერიმენტის, საღი აზრის განვითარების მეთოდი. ასე იყო სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, მედიცინაში. დღეს, პირიქით, ინოვაცია სათავეს იღებს პრინციპული ცოდნიდან, ასეთი თეორიული პრინციპები ტექსტის სახით ხდება მყარი საწყისი წერტილი. მაგ; გენეტიკის წარმატება “ადამიანის გენის” პროექტის ჩარჩოებში, იგივე შეიძლება ითქვას ფიზიკაზე და მათემატიკაზე, სადაც ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიები (იკტ) გახდა საფუძველი. თანამედროვე ცხოვრების განსხვავებული სფეროების საფუძველია ასევე თეორიული ცოდნა. მაგ; პლასტმასის წარმოება, მედიცინა, ჰაერნაოსნობა.

თეორიული ცოდნა საფუძველი გახდა არა მარტო მეცნიერებაში და ეთნოლოგიაში, არამედ პოლიტიკაშიც. ბევრ პოლიტიკურ გადაწყვეტილებასა და დებატს საფუძველად უდევს თეორიული ცოდნა. რამდენადაც პოლიტიკა - ეს არის “შესაძლებლობების ხელოვნება” და აუცილებელია მათი სწავლა. ეს ეხება ეკონომიკასაც და ყველა სფეროს, ყველაფერი პასუხობს თეორიული ცოდნის კრიტერიუმებს. მაგ; ნიკო შტერნი (Нико Штерн) თვლის, რომ ყველაფერი რასაც ჩვენ ვაკეთებთ, დაწყებული ჩვენი სახლის ინტერიერით – დამთავრებული ჯანმრთელობის შენარჩუნების ფიზიკური ტანვარჯიშის რეჟიმით, ყველაფერში მთავარია თეორიული ცოდნა. ეს ემსგავსება გიდენსის ცნებას “რეფლექსური მოდერნიზაცია”, ეს არის ეპოქა, რომელსაც ახასიათებს მაღალი რეფლექსურობა, თვითრეფლექსია, რომლის საფუძველშიც დევს ცხოვრების ხატის არჩევა. თუ ვქმნით და ვცხოვრობთ სამყაროში, რომლის საფუძველია რეფლექსურობა და გადაწყვეტილებები, სადაც მთავარ როლს თამაშობს არა ბუნებრივი იმპულსი და ტრადიცია, არამედ რისკების შეფასება, მაშინ თეორიულ ცოდნას უკავია ცენტრალური



society for a better society

ადგილი, რადგანაც გვადლევს საკვებს რეფლექსიისთვის. მაგ; განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის უმრავლესობამ, იცის დემოგრაფიული ტენდენციები, ბავშვების შობადობის და სიკვდილიანობის მონაცემები. ეს თეორიულ - აბსტრაქტული ცოდნაა. ამ აზრით თეორიული ცოდნა გახდა განმსაზღვრელი მახასიათებელი სამყაროსი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. ასევე ის არის ინფორმაციული საზოგადოების ძირითადი მახასიათებელი, რამდენადაც ჩვენ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას, ჩვენი წინაპრებისგან განსხვავებით, რომლებიც მიმაგრებულები იყვნენ ერთ ადგილს. ინფორმაციული საზოგადოების ბევრი თეორეტიკოსი ყურადღებას არ აქცევს თეორიულ ცოდნას, მათ უფრო აინტერესებთ ეკონომიკის და ტექნოლოგიის სფეროები, ის რაც ექვემდებარება გაზომვას. რთულია ის, რომ თეორიული ცოდნა განვიხილულ იქნას, როგორც გრძელი პროცესის რეზულტატი, რომელიც დაიწყო მოდერნში და ამ ტენდენციას მიჰყავართ იმასთან, რასაც გიდენსი უწოდებდა “მაღალ მოდერნითს”.